ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2023 წლის დეკემბრიდან 2024 წლის დეკემბრამდე პერიოდს)

მოგესალმებით პატივცემულო საკრებულოს წევრებო, მივესალმები დამსწრე საზოგადოებას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-სა და საკრებულოს რეგლამენტის მოთხოვნის შესაბამისად, მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მოგეხსენებათ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო არის წარმომადგენლობითი კოლეგიალური ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც შედგება 33 წევრისაგან. მათგან 22 არჩეულია პროპორციული, ხოლო 11 მაჟორიტარული სისტემით.

საკრებულოს უფლებამოსილება და საქმიანობა განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა

საკრებულოს თავმჯდომარე ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს:

• საკრებულოს სხდომების ორგანიზება, საკითხების განხილვა, გადაწყვეტილებების

მიღება;

• საკრებულოს აპარატის ორგანიზაციული საქმიანობის ხელმძღვანელობა;

• საკრებულოს წარმომადგენლობითი ფუნქციების გახორციელება.

საანგარიშო პერიოდში შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების დაცვით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ჩემი ხელმძღვანელობით ჩაატარა სულ 15 სხდომა, მიღებულ იქნა 15 დადგენილება და 59 განკარგულება, ხოლო ჩემს მიერ, საანგარიშო პერიოდში გამოცემულია 180 ბრძანება.

ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემაში საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე საკრებულოს აპარატში სულ დარეგისტრირებულ იქნა სხვადასხვა თემატიკის 231 კორესპონდენცია. ყველა მათგანზე კანონით დადგენილ ვადებში მოხდა შესაბამისი რეაგირება.

აგრეთვე, მე, როგორც საკრებულოს თავმჯდომარე, კანონით ნაკისრი ვალდებულებიდან გამომდინარე, ყოველდღიურად საერთო ხელმძღვანელობას ვუწევ საკრებულოს კომისიების, საკრებულოს აპარატისა და საკრებულოს თანამდებობის პირთა საქმიანობას. ამასთანავე, რეგულარულად ვხვდები მოქალაქეებს, რომლებიც ითხოვენ სხვადასხვა სახის დახმარებას. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ არც ერთი მათგანის თხოვნა არ დარჩენილა ყურადღების გარეშე.

საკრებულოს ემსახურება ორი ავტომანქანა, რომლებზედაც ყოველთვიურად გამოყოფილი საწვავიდან 500 ლიტრი გათვალისწინებულია ჩემს სარგებლობაში არსებული ავტომანქანისთვის, 300 ლიტრი საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა თანამშრომელთა მომსახურეობისთვის, ხოლო 300 ლიტრი კომისიების ეფექტურად მუშაობისათვის. ამასთანავე, მინდა ავღნიშნო, რომ ჩემ სარგებლობაში არსებული ავტომანქანისათვის დაწესებული საწვავი შვებულების პერიოდში არ გამომიყენებია, რის შედეგადაც გაკეთდა 500 ლიტრი საწვავის ეკონომია და მთლიანობაში 800 ლიტრი საწვავი დაიზოგა ჩემს მიერ, რომელიც ადგილობრივ ხაზინაში დაბრუნდა.

მიმდინარე წელს წარმომადგენლობითი ხარჯი, საკრებულოს თავმჯდომარისთვის განისაზღვრა 5000 ლარით. ზემოთ აღნიშნული თანხა სრულად დაიხარჯა ხარაგაულელობის დღესასწაულისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებზე.

2024 წელს სამივლინებო გეგმა შეადგენდა 2000 ლარს, აქედან საკრებულოს თანამშრომლების მიერ გახარჯულია 910 ლარი, ხოლო ჩემ მიერ გახარჯულია 150 ლარი.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი საკრებულოს გამართული ფუნქციონირებისათვის ითვალისწინებს საკრებულოს ორგანოების არსებობას, რომლებიც უზრუნველყოფენ საკრებულოს სხდომებს შორის პერიოდში საკრებულოზე განსახილველი საკითხების წინასწარ მომზადებას, შეფასებას და ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებების გატარებას. საკრებულოში ასეთ სავალდებულო მუდმივმოქმედ ორგანოებს განეკუთვნება საკრებულოს ბიურო და საკრებულოს კომისიები.

ბიურო

საკრებულოს ბიურო იქმნება საკრებულოს საქმიანობის ორგანიზებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირთა საქმიანობის კონტროლის მიზნით. საკრებულოს ბიუროს შემადგენლობაში შედიან საკრებულოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები.

დავით კიკნაძე

ამირან ოქრომჭედლიძე

პაატა გოგოლაძე

კომისიები

საქართველოს კანონმდებლობითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული პროცედურების დაცვით, საკრებულოს კომისიებში თავიანთი სფეროების შესაბამისად მუშავდება თითოეული გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოოდ საკრებულოს სხდომაზე სამართლებრივი აქტის სახეს იღებს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფუნქციონირებს 5 მუდმივმოქმედი კომისია:

1. ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია,

2. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია,

3. განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია,

4. იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია,

5. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

ზემოთ დასახელებული კომისიები, თავიანთი სფეროების მიხედვით, საკრებულოს სხდომებზე განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტებთან დაკავშირებით ამზადებს შესაბამის დასკვნებს, აკონტროლებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებას, აგრეთვე კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში აკონტროლებს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საქმიანობას, ისმენს მათ ანგარიშებს და საკრებულოს წარუდგენს შესაბამის დასკვნებსა და შეფასებებს.

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს კომისიების მიერ ჩატარებული იქნა 66 სხდომა,

განხილული იქნა 100-ზე მეტი საკითხი.

ბესიკ კვირიკაშილი | შმაგი ხიჯაკაძე | მარინე ხვედელიძე | ოთარ ლურსმანაშვილი | პავლე კიკალიშვილი

ფრაქციები

მიმდინარე წლის 6 აგვისტომდე საკრებულოში ფუნქციონირებდა 3 ფრაქცია:

1. ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“
2. ფრაქცი ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
3. ფრაქცია ,,ხარაგაულისთვის“

მათგან ფრაქცია ,,ხარაგაულისთვის“ გაუქმებულ იქნა 2024 წლის 6 აგვისტოს, ვინაიდან პირადი განცხადების საფუძველზე საკრებულოს წევრის უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდა აღნიშნული ფრაქციის ერთ -ერთ წევრს და ფრაქციაში

გაერთიანებული დარჩა 3 წევრზე ნაკლები, რის გამოც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ფრაქცია ითვლება გაუქმებულად. ამდენად, დღეის მდგომარეობით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოქმედებს 2 ფრაქცია:

1. ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო,“
2. ფრაქცი ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა.“

ფრაქცია შემქნილია საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილებების ეფექტურად განხორციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით, რომლებიც გამოხატავენ ფრაქციის ერთიან პოზიციას საკრებულოს სხდომებზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით და იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს ფრაქციის საქმიანობის საკითხებზე.

საკრებულოს სხდომები და მიღებული გადაწყვეტილებები

საკრებულოს მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 20 სხდომა (მორიგი - 11; რიგგარეშე - 9) და ბიუროს 19 სხდომა (მორიგი 10 - რიგგარეშე 9).

საკრებულოს სხდომებზე განხილულ იქნა სულ 95 საკითხი, მიღებულ იქნა 72 განკარგულება და 23 დადგენილება.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მოსახლეობაზე ორიენტირებული პროექტების შემუშავება და მათი განხორციელება, ამ მიზნით საკრებულო თავის საქმიანობას წარმართავს კანონიერების, საჯაროობისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის აზრის გათვალისწინების პრინციპებით.

საკრებულოს წევრები

გარდა იმისა, რომ საკრებულოს თანამდებობის პირები და რიგითი წევრები კომისიებისა და ფრაქციების საქმიანობაში მონაწილეობენ, ისინი მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად აქტიურად არიან ჩართული როგორც მიმდინარე პროექტების მონიტორინგში, ასევე მოსახლეობის ყოფით პრობლემების მოგვარებაში. ამ მიზნით რეგულარულად ხვდებიან ადგილობრივ მოსახლეობას მათ წინაშე არსებულ საჭიროებებზე სასაუბროდ და რეაგირების გარეშე არ ტოვებენ მოსახლეობის მოთხოვნებს. ასევე საკრებულოს წევრები, შესაბამისი სამართლებრივი

აქტით დადგენილი გრაფიკის შესაბამისად, მოქალაქეებს იღებენ როგორც საკრებულოში, აგრეთვე ადმინისტრაციულ ერთეულებში.

საკრებულოს აპარატი

საკრებულოს გამართულ საქმიანობას და საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებაში ხელშეწყობას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი, რომელიც შედგება 6 შტატით და 6 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული საჯარო მოსამსახურეებისაგან. საკრებულოს აპარატის ამოცანებია: საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციული, იურიდიული, დოკუმენტური, საინფორმაციო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

აპარატის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს საკრებულოს თავმჯდომარე. აპარატს ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი. აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურა განისაზღვრება აპარატის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საკრებულო.

აპარატი ყოველთვის დროულად უზრუნველყოფს საკრებულოში სხვადასხვა ღონისძიებების მომზადებას, ელექტრონულ საქმისწარმოების სისტემაში შემოსული წერილები და კორესპონდენციები აღრიცხულია სათანადო წესის დაცვით, დაცულია ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება, საკრებულოსა და ბიურო სხდომების მომზადება ხდება მაღალ ორგანიზაციულ დონეზე, ასევე ხდება სამართლებრივი აქტების პროექტების მაღალპროფესიულ დონეზე რედაქტირება, დაცულია აქტების გამოცემისა და პროაქტიულად გამოქვეყნების ნორმები, კანონით დადგენილ წესით მზადდება საკრებულოსა და საკრებულოს ბიუროს ოქმები, დაცულია საკრებულოს სხდომების მოწვევისა და მისი საჯაროდ გამოცხადების ვადები.

საჯარო ინფორმაცია

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 16 წერილობითი განცხადება. ყველა მოთხოვნაზე პასუხი გაცემულია კანონით დადგენილი ვადების დაცვით. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა, ასევე საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მიზნით არცერთი მოთხოვნა არ შემოსულა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირად საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრულია საკრებულოს აპარატის უფროსი.

ბიუჯეტი

2023 წლის 21 დეკემბერს საკრებულომ დაამტკიცა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2024 წლის ბიუჯეტი, რომლითაც ვხელმძღანელობთ დღეს. დამტკიცებული ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრებოდა 13 433,7 ათასი ლარით, წლის გამავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად ორჯერ და მეტად 15 006,6 ათასი ლარით გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები და განისაზღვრა 28 440, 3 ათასი ლარით, რაც მნიშვნელოვნად აღემატება გასული წლის მაჩვენებლებს. შემოსულობები გაიზარდა როგორც სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერების ასევე საკუთარი საბიუჯეტო შემოსულობების ხარჯზე. ამდენად, 2024 წლის წლიური შემოსულობების გეგმა შესრულებულია 101,7 %-ით.

ამასთანავე, ბიუჯეტის გადასახდელები (ხარჯები) დამტკიცებული ბიუჯეტით განისაზღვრებოდა 14 928,,5 ათასი ლარით, წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში გაიზარდა 16 390, 8 ათასი ლარით და განისაზღვრა 31 319, 3 ათასი ლარით.

მოცემულ ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს კომისიების მიერ გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები, შესაძლებლობებიდან გამომდინარე მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ.

აღნიშნული ბიუჯეტით, პრიორიტეტულ მიმართულებებად კვლავ განისაზღვრა ინფრასტრუქტურული, სოციალური, განათლებისა და კულტურის სფეროები. საკრებულოს მიერ მხარდაჭერილი და მოწონებული იქნა ყველა პრიორიტეტულ სფეროებში განსახორციელებელი მთელი რიგი პროექტები და აქტივობები, რომელთა უდიდესი ნაწილი წარმატებით განხორციელდა.

აღსანიშნავია, რომ საკრებულოს წევრებისა და შესაბამისი კომისიების მიერ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მათ სფეროს მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით ბიუჯეტში გათვალისწინებული პროგრამების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებას. საკრებულოს მიერ მოსმენილ იქნა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების სამი, ექვსი და ცხრა თვის ანგარიშები.

მუნიციპალიტეტში 2022 წლიდან წარმატებით ხორციელდება სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა, რაც ხელს უწყობს ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდასა და მათი ინტერესების გათვალისწინებას. მიმდინარე წელს აღნიშნული პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი იყო 19 საპროექტო წინადადება, მოსახლეობის აქტიური ჩართულობით სხვადასხვა

სოფლებიდან გამოვლინდა 7 გამარჯვებული პროექტი. კერძოდ გამარჯვებული პროექტებია:

- სოფელ საღანძილეში საბავშვო სკვერის მოწყობა;
- სოფელ ბორითში ახალგზრდული სკვერის მოეწყობა;
- სოფელ ვახანში საჭიდაო მოედნის გადახურვა;
- ვარძიაში გარე განათების ქსელის მოწყობა;
- სოფელ ღორეშაში საბავშვო სკვერის მოწყობა;
- სოფელ სარგვეშის წყაროს რეაბილიტაცია;
- სოფელ ზვარეში სპორტული მოედნის მოწყობა.



ასევე მინდა ხაზი გავუსვა წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი რგოლის კოორდინირებულ მუშაობას, მუნიციპალიტეტის მთავარ საფინანსო დოკუმენტში ასახული პრიორიტეტული მიმართულებების წარმატებით განხორციელებასთან დაკავშირებით.

ინფრასტრუქტურა

საანგარიშო პერიოდი გამორჩეული იყო როგორც ინფრასტრუქტურული პროექტების სიმრავლით, ასევე დადგენილ ვადებში მათი შესრულებით, გამოყოფილი თანხების ოდენობითა და შესრულებული სამუშაოების ხარისხით.

2024 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, რეგიონალური განვითარების პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის განკარგულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტს პირველ ეტაპზე გამოეყო 6 051 271 ლარი, დაფინანსდა 28 პროექტი. დაფინანსებული 28 პროექტიდან 27 იყო გარდამავალი 2023-2024-2025 წლები. აღსანიშნავია, რომ ტენდერების გამოცხადება მოხდა ძალიან სწრაფად, შესაბამისად სწრაფადვე მოხდა ხელშეკრულებების გაფორმება. რის გამოც მუნიციპალიტეტმა მიიღო დამატებით ბონუსი ტენდერებიდან წარმოქნილი ეკონომიებთან ერთად, რამაც საშუალება მისცა მუნიციპალიტეტს განეხორციელებია დამატებით სამუშაოები. პირველ ეტაპზე შერჩეული 28 პროექტიდან ყველა დასრულებულია. პროექტების მიმდინარეობისას, მერიის შესაბამისი სამსახურის და კომისიის მიერ აქტიურად მიმდინარეობდა ზედამხედველობა როგორც ხელშეკრულების ვადების, ასევე ხარისხის დაცვის მიზნით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროექტები რომლებიც უნდა დასრულებულიყო 2025 წელს 11 შესრულდა წინსწრებით 2023 წელში. წინსწრებით შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 2 100 000 ლარამდე. მიმდინარე წლის 29 ივლისის საქართველოს მთავრობის განკარგულებით მოხდა დამატებით მეორე ეტაპის სამუშაოებისათვის თანხის გამოყოფა, რგპფ-დან გამოყოფილი თანხა გაიზარდა 7 139 604 ლარამდე, აღნიშნულს დაემატა თანადაფინანსება 273 738 ლარი და საბოლოდ განისაზღვრა 7 413 342 ლარი.

2024 წელს გამოყოფლი თანხის რაოდენობამ სულ შეადგინა 7 413 342 ლარი, რაც 1 150 817 -ით მეტია წინა წელს გამოყოფილ თანხაზე. აქტიურად მიმდინარეობს ახალი პროექტების დაგეგმვა-მომზადების პროცესი 2025 წლისათვის, რამდენიმე წლიანი წარმატებით განხორციელებული პროექტების გამო მუნიციპალიტეტს მომავალი წლის ლიმიტი გაეზარდა 26%-ით, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს დამატებით პროექტების განხორციელება. აღნიშნული ზრდის პროცენტით ხარაგაულის მუნიციპალიტეტი მოწინავეა მუნიციპალიტეტებს შორის.

სოფ. სხლითი გზის გაწმენდითი სამუშაოები

დაბა ხარაგაულში მდინარე ჩხერიმელას ნაპირდამცავი კედლის მშენებლობა

მაღალმთიანი დასახლება

2024 წელს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოეყო 500 000 ლარი, დაფინანსდა 2 პროექტი:

N	2024 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება	მთის ფონდი
1	სოფელ წიფაში საუბნო გზის რეაბილიტაცია	200,000.00
2	ზვარის ა/ერთეულში საუბნო გზების რეაბილიტაცია (ჭენჭეხის უბანი, ორთოიძეების უბანი, ჩრდილი)	300,000.00
		500,000.00

ორივე პროექტზე გაფორმდა გარდამავალი ხელშეკრულება.

სოფლის პროგრამა

2024 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტს პროექტების განსახორციელებლად გამოეყო 890 000 ლარი, სამუშაოების მოცულობების გაზრდის მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოხდა თანადაფინანსება 144 000 ლარით, ჯამში სოფლის პროექტების ღირებულებამ შეადგინა 1 034 000 ლარი. პროექტების შერჩევის მიზნით ყველა სოფელში ჩატარდა კრებები. მოსახლეობის მიერ შეირჩა 145 პროექტი, მათ შორის გზების 38 პროექტი -

ღირებულებით 225 000 ლარი, გარე განათების 35 პროექტი - ღირებულებით 220 100 ლარი, წყლის სისტემები 39 პროექტი – ღირებულებით 144 500 ლარი, რამდენიმე სოფელმა მოსახლეობის თხოვნით მოითხოვა 1 საერთო პროექტის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებდა ამბულატორიის შენობის დასრულებას. 15 პროექტი სასაფლაოს კეთილმოწყობა ღირებულებით 85 000 ლარი, სხვადასხვა კატეგორიის 17 პროექტი. ამ ეტაპზე სამუშაოები მიმდინარეობს ვადების დაცვით. მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურმა ხარისხის კონტროლის გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავა წესი, რომელიც ითვალისწინებს, რომ სამუშაოების ჩაბარებისას, კომისის მიერ ობიექტის შემოწმებას ესწრება მოსახლეობა და სოფლის დეპუტატი, რომლებიც ხელს აწერენ ადგილზე შედგენილ აქტს. შერჩეული 145 პროექტიდან 143 პროექტი უკვე დასრულებულია, 2 პროექტი დასრულების ეტაპზეა.

სოფ.უბისა

სოფ. ვარძია

სტიქია

2024 წელს სტიქიამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მუნიციპალიტეტს. დაზიანდა როგორც კერძო მოსახლეობა, ასევე საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურული ობიექტები. თანხის გამოყოფა მოხდა რამდენიმე ეტაპად, ჯამში 1 625 000 ლარი. ხორციელდება 21 პროექტი, რომელთაგან 3 პროექტი დასრულებულია საკასო ხარჯით. 1 პროექტზე მიმდინარეობს სამუშაოები. 17 პროექტზე მიმდინარეობს ტენდერი. 2024 წელს ძლიერი ქარის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებს დაზიანებული სახურავების აღსადგენად გადაეცათ ხე-მასალა (ფიცარი, კოჭი) და პროფნასტილი ჯამში 17 000კვმ. დაკმაყოფილდა 130 ოჯახი.

სტიქიამ (ძლიერმა ქარმა და წვიმამ) დააზარალა როგორც კერძო მოქალაქეების კუთვნილი შენობა-ნაგებობები, ასევე მუნიციპალური საგზაო ინფრასტრუქტურაც, შიქმნა კომისია რომელმაც იმუშავა ზარალის დადგენაზე მთელი მუნიციპალიტეტის

მაშტაბით: შესწავლილი იქნა 130 მოქალაქის კერძო საცხოვრებელი სახლი, მეწყერსაშიში ზონებიდან სხვადასხვა სოფლებში მოხდა 23 ოჯახის გასახლება ქირით უსაფრთხო ზონაში, რეკომენდაციების მიზნით კი მიემართა გეოლოგიის დეპარტამენტს, ასევე დაზიანდა ადმინისტრაციული შენობები და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურა, იდენთიფიცირებული იქნა 49 მეწყერი, ამ დროისათვის ყველა მეწყერი გაწმენდილია.

ადგილობრივი დაფინანსება

2024 წელს ადგილობრივი დაფინასებით ძირითადად განხორციელდა სტიქიის შედეგად დაზიანებული გადაუდებელი აუცილებლობით აღსადგენი ობიექტები და სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტები. პროექტების ძირითადი ნაწილი დასრულებულია.

ადგილობრივი ბიუჯეტის თანხები მობილიზებული იქნა თანადაფინანსებებშიც: 144 ათასი ლარით დაფინანსდა სოფლის მხარდაჭერის პროექტები. 277 737 ლარით მოხდა რგპფ-პროექტების თანადაფინანსება.

ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით აგრეთვე აღსანიშნავია, რომ მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა მუნიციპალური განვითარების ფონდთან და საავტომობილო გზების დეპარტამენტთან. ამჟამად დასრულდა სოფელ ვაშლევის სკოლის რეაბილიტაცია - ღირებულებით 2 000 000 ლარი, დასრულდა სოფელ კიცხში ახალი ბაღის მშენებლობა ღირებულებით 1 278 333 ლარი. აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს ძირულა-ხარაგაული-ფონა-ჩუმათელეთის 25 კილომეტრიან მონაკვეთზე, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 96 309 126 ლარია. სამუშაოებს ანხორციელებს შპს,,ნიუ როუდი“ სამუშაოები 24 თვეში უნდა დასრულდეს. ასევე მიმდინარეობს სამუშაოები ლიჩი-ნადაბურის დამაკავშირებელ გზის მშენებლობაზე, პროექტის ფარგლებში სოფ. ნადაბურში მოეწყობა ხიდი და გზა, აღნიშნული პროექტი დააკავშირებს 2 მუნიციპალიტეტს, სამუშაოების ღირებულება შეადგენს 9 876 999 ლარს. სხვადასხვა უწყებებიდან, ჯამში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარეობს 109 464 458 ლარის სამუშაოები.

ჯანმრთელობის დაცვა

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. ამ მიზნის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტში მოქმედებს მოსახლეობის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სოციალური პროექტები, რომლებიც მხარდაჭერილ იქნა საკრებულოს მიერ.

საანგარიშო პერიოდში მოქალაქეთა დახმარების მიზნით მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა გაწეული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება ყოველწლიურად მზარდია. მიმდინარე წელს გასულ წელთან შედარებით ჯანდაცვისა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებისთვს 1 336 270 ათასი ლარით მეტი დაიგეგმა. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა წარმოდგენილია 23 ქვეპროგრამით. მათ შორის ორი ქვეპროგრამა მოიცავს ჯანმრთელობის დაცვას, ხოლო სოციალური მიმართულებით მუშაობს 21 ქვეპროგრამა. საანგარიშო პერიოდში ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მიმართულებით განხორციელებული პროგრამებია:

06 03 01 სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება, რომელიც მოიცავს კვლევების, ოპერაციების, სამედიცინო მომსახურების და რამდენიმე ქრონიკული დაავადების მედიკამენტის დაფინანსებას. ქვეპროგრამაზე მიმდინარე წელს დაგეგმილია 590,4 ათასი ლარი. გასული წლის ხარჯმა შეადგინა 478,79 ათასი ლარი. ქვეპროგრამით საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 1118 მოქალაქემ.

06 03 03 შშმ პირთა დახმარება, რომელიც მოიცავს 0-18 წლამდე ასაკის შშმ პირთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურსის და მედიკამენტების დაფინანსებას, კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბავშვების ელემენტით უზრუნველყოფას და ასევე, შშმ პირის, რომელიც საჭიროებს მომვლელს, ყოველთვიურ დახმარებას.

კოხლეარული იმპლანტის ელემენტით ყოველწლიურად სარგებლობს 3 არასრულწლოვანი, მომვლელის დახმარებით გასულ წელს სარგებლობდა 56, ხოლო მიმდინარე წელს მოსარგებლეა 61 შშმ პირი. ყოველთვიური დახმარება 2024 წელს გაიზარდა 70 ლარამდე. ასევე, მიმდინარე წელს გაიზარდა შშმ ბავშვთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურსის თანადაფინანსება 1400 ლარამდე. ქვეპროგრამაზე გასულ წელთან შედარებით დაიგეგმა 5,0 ათასი ლარით მეტი.

06 03 04 ერთჯერადი ფინანსური დახმარება - ქვეპროგრამის განსახორციელებლად მიმდინარე წელს დაგემილია 683,9 ათასი ლარი, 397,5 ათასი ლარით მეტი, ვიდრე გასულ წელს. ქვეპროგრამით საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 1581 მოქალაქემ და დაიხარჯა 345,4 ათასი ლარი.

06 03 05 ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება _ დიალიზის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლე ბენეფიციარს ყოველთვიურად ერიცხება 200 ლარი. დიალიზის პროგრამაში დღეის მდგომარეობით ჩართულია 16 მოქალაქე. ლეიკემიით დაავადებულთა დახმარება წლიურად განსაზღვრულია 600 ლარით და მოსარგებლეა 3 ბენეფიციარი.

06 03 06 მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებით სარგებლობს ოჯახი, რომელსაც ყავს 4 და მეტი შვილი. დახმარებება თითოეულ ბავშვზე განისაზღვრება 100 ლარით. საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 51 ოჯახმა.

06 03 07 მარტოხელა მშობლების დახმარების ქვეპროგრამით გასულ წელს დახმარება განსაზღვრული იყო ყოველთვიურად 50 ლარი. მიმდინარე წლიდან თანხა გაიზარდა 70 ლარამდე. ქვეპროგრამით გასულ წელს სარგებლობდა 17 მარტოხელა მშობელი, მიმდინარე წელს სარგებლობს _ 21 ბენეფიციარი.

06 03 08 მარჩენალდაკარგულ და რეინტეგრირებულ პირთა დახმარება. დახმარების მიმღებია დედით ან მამით ობოლი ან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული 21 წლამდე ასაკის პირი. ქვეპროგრამით წინა წლებში დახმარება გაიწეოდა ერთჯერადად. ამჟამად დახმარება გაიწევა ყოველთვიურად, ბენეფიციარზე 50 ლარის ოდენობით. გასული წლის დასაწყისში ქვეპროგრამით სარგებლობდა 36 ბენეფიციარი, მიმდინარე წელს მოსარგებლეა 52.

06 03 09 ყოველთვიური დახმარების პროგრამის ბენეფიარები არიან უსინათლოები და დევნილები. მიმდინარე წელს აპრილის თვიდან დახმარება განსაზღვრულია 70 ლარით. საშუალოდ მოსარგებლეა 92 მოქალაქე.

06 03 10 საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება. დახმარების მიმღებია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულის ოჯახის წევრი, რომელსაც პირველი რიგის მემკვიდრე არ ყავს და რომელზეც არ ვრცელდება ,,ომისა და სამხედრო ძალების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის კრიტერიუმები. დახმარება განისაზღვრება 2000 ლარით და სარგებლობს 4 ბენეფიციარი.

06 03 11 ხანდაზმულთა დახმარება. დახმარების მიმღებია 100 წლის და მეტი ასაკის მოქალაქე. დახმარება განისაზღვრება 1000 ლარით. ამ დროისთვის გვყავს 2 ბენეფიციარი.

06 03 12 სადღესასწაულო დღეების დახმარება. დახმარება მოიცავს სადღესასწაულო დღეებში მოწყვლადი ჯგუფების დახმარებას. დახმარება გაიწევა ქვეპროგრამით დადგენილ სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებსა და დღესასწაულის დღეებში სხვა მოწყვლად ჯგუფზე. ქვეპროგრამით სისტემატურად მოსარგებლეა 19 ბენეფიციარი, სხვადასხვა სადღესასწაულო დღეებში დამატებით დახმარება გაცემულია 1368 ოჯახზე.

06 03 13 სოციალურად დაუცველი ან უპატრონო გარდაცვლილის ოჯახის დახმარება; დახმარების მიმღებია 65000 სარეიტინგო ქულამდე გარდაცვლილის ოჯახი. დახმარება განისაზღვრება 250 ლარით. ქვეპროგრამით საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 46 ოჯახმა.

06 03 15 ახალშობილთა ოჯახების დახმარება. პირველი ბავშვის შეძენისას ოჯახისათვის გაწეული დახმარება შეადგენს 100 ლარს, მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში_150 ლარს, მესამე_200 ლარს, მეოთხე_250 ლარს, მეხუთე_300 ლარს და ყოველი მომდევნო ბავშვის შეძენისას თანხა იზრდება 50 ლარით. ტყუპების შეძენის შემთხვევაში თანხა განისაზღვრება 500 ლარით. სამი და მეტი ტყუპის შეძენის შემთხვევაში დახმარება განისაზღვრება 1500 ლარით. საანგარიშო პერიოდში დაკმაყოფილებულია 93 განცხადება.

06 03 16 ომის ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვა. დაკრძალვის ხარჯი შეადგენას 250 ლარს და ამ მიმართულებით საანგარიშო პერიოდში დახარჯულია 1,25 ათ. ლარი. ისარგებლა 5 ოჯახმა.

06 03 17 სტიქიური მოვლენების, ხანძრის შედეგად დაზარალებულთა და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა მატერიალური დახმარება მოიცავს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა დახმარებას, უსახლკარო პირთა და ძალადობის მსხვერპლთა მინიმალური საცხოვრებლით (ბინის ქირით) უზრუნველყოფას. გასულ წელს ბინის ქირით უზრუნველვყოფდით 6 მოქალაქეს, ამ ეტაპზე მოსარგებლეა 16 პირი. აღსანიშნავია, რომ მოსარგებლეთა რაოდენობა გაზრდილია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების დასკვნების საფუძველზე იმ პირთა მიმართ, რომლებიც ცხოვრობენ მომეტებული საფრთხის ქვეშ და საჭიროებენ განსახლებას. სტიქიის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე სხვადასხვა კატეგორიის 92 ოჯახს გაეწია დახმარება 87,4 ათასი ლარით. მათ შორის, პირველი კატეგორია - 8 ოჯახი, მეორე კატეგორია - 79 ოჯახი, მესამე კატეგორია - 5 ოჯახი. საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით მიმდინარე წლის თებერვლის თვეში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული 135 მოქალაქისთვის შეძენილი იქნა სახურავის თუნუქი და შესაბამისი ხე-მასალა.

06 03 18 უფასო სასადილოს დაფინანსება გასულ წელთან შედარებით 35.0 ათასი ლარით მეტი, ანუ 250.0 ათ. ლარი დაიგეგმა. სათნოების სახლი ემსახურება 160 ბენეფიციარს. ასევე, მიმართვების საფუძველზე საკვები პროდუქტით დახმარება გაიწევა სხვა ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებზე. დახმარების მიმღებია ჯამში 216 ბენეფიციარი.

06 03 19 სოციალური უზრუნველყოფის ობიექტების რეაბილიტაცია და საგრანტო პროექტების ხელშეწყობა. ქვეპროგრამა მოიცავს საგრანტო პროექტების თანადაფინანსებას. როგორც მოგეხსენებათ, ბავშვთა ადრეული განვითარების მომსახურების დანერგვის მიზნით 2020 წელს ევროკავშირის დაფინანსებით დაიწყო საგრანტო პროექტი, რომლის ფარგლებში დაინერგა საჭიროების ან რისკის მქონე 0-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ბუნებრივ გარემოში ადრეული განვითარების სპეციალისტის მომსახურება. მშობლების მომართვის შემდეგ გამოიკვეთა მეტყველების თერაპევტის საჭიროება, რომელსაც მუნიციპალიტეტის სრულად აფინანსებს, რის შედეგადაც მშობლებს არ უწევთ ამ მომსახურების მისაღებად სხვა მუნიციპალიტეტში გადაადგილება, რაც დამატებით ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული. საგრანტო პროექტის დასრულების შემდგომ სერვისის მდგრადობის შენარჩუნების მიზნით გრძელდება თანამშრომლობა მომწოდებელ ორგანიზაციასთან. პროგრამით მიმდინარე წელს სარგებლობს 26 ბავშვი.

06 03 20 გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამა. ქვეპროგრამა მოიცავს ისეთ მდგომარეობას, როდესაც მოკლებული ვართ შესაძლებლობას, მოქალაქემ ისარგებლოს სხვა მუნიციპალური პროგრამით. საანგარიშო პერიოდში განხილული იქნა 18 განცხადება და გაიწია შესაბამისი დახმარება.

06 03 21 ომისა და სამხედრო ძალების დახმარების ქვეპროგრამის მოსარგებლეა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი. ქვეპროგრამაზე როგორც გასულ, ასევ მიმდინარე წელსაც გამოყოფილია 20.0 ათასი ლარი. ქვეპროგრამით საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 62 ვეტერანმა.

06 03 22 გასული წლიდან ამოქმედდა არასრულწლოვანთა დახმარების ქვეპროგრამა, ქვეპროგრამა წარმოადგენს ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობას, მიტოვების პრევენციას, კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებას. ქვეპროგრამით მიმდინარე წელს 28 არასრულწლოვანის დახმარების მიზნით გაცემულია 40,0 ათ. ლარი.

- მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში ფუნქციონირებს ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, რომელიც მუშაობს ბავშვთა უფლებების დაცვისა და არასრულწლოვანთა მხარდაჭერის კუთხით. განყოფილებაში დასაქმებულია ოთხი კადრი - კოორდინატორი, სოც მუშაკი, ჯანდაცვის სპეციალისტი და ფსიქოლოგი.

განყოფილებაში კონკრეტული მდგომარეობის მიხედვით დგინდება გასაწევი დახმარების ფორმა და მოცულობა. განყოფილება კონსულტაციას უწევს ინდივიდებს,

არასრულწლოვანთა ოჯახებს და საზოგადოების სხვა წევრებს ფსიქიკური ჯანმრთელობის, სიღარიბის, უმუშევრობის ნარკოტიკული ნივთიერების მავნებლობის, ძალადობის, რეაბილიტაციის, ბავშვის მოვლისა და სამედიცინო დახმარების საკითხებში.

საანგარიშო პერიოდში ბავშვთა განყოფილებაში განხილულია 29 შემთხვევა (82 საქმე - 44 გოგო, 38 ბიჭი). 29 შემთხვევიდან დახურულია - 3, რეფერირებულია - 3 (მათ შორის 2 - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის სააგენტოში, ხოლო 1 - შსს-ში, მანდატურის სამსახურში და არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში). გადმომისამართებულია - 2, (მათ შორის 1 - დმანისის მუნიციპალიტეტიდან, ხოლო 1 - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის სააგენტოდან). სოც მუშაკის მიერ განხორციელებულია ყველა ოჯახში ვიზიტი, შეფასებულია ოჯახები და შევსებულია არასრულწლოვნების სკრინინგის ფორმები. ჯამში მოკვლეულია 82 ბავშვი. სოც მუშაკის მიერ თითოეულ საქმეზე შექმნილია ინდივიდუალური დოკუმენტი.

ბავშვა მხარდაჭერის განყოფილება აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან

აღნიშნული მუნიციპალური ჯგუფის მუშაობის პროცესში გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით, 2024 წლის აპრილის თვეში მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება მისი აქტიური საქმიანობიდან და ათეულობით წარმატებული ქეისიდან გამომდინარე მოხვდა საქართველოს მასშტაბით ორ საპილოტე მუნიციპალიტეტს შორის (ხარაგაული, ბოლნისი), სადაც სახელმწიფო უწყებების ინიციატივით და გერმანიის საელჩოს დაფინანსებით განხორციელდება ინოვაციური პროექტი -„პოზიტიური მშობლობა“. ამ ეტაპზე პროექტის განსახორციელებლად უკვე გადაგზავნილია 10 ბენეფციარის მონაცემი.

განყოფილების მულტიპროფილური გუნდის ინიციატივით პერიოდულად ხორციელდება საქველმოქმედო აქტივობები, რომლის ფარგლებშიც საჭიროების

მიხედვით ბენეფიციარებს მიეწოდებათ სეზონურ ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, სხვა საჭირო ნივთები, საკანცელარიო მასალა და განმავითარებელი რესურსი.

გასული წლის აგვისტოს თვეში, ჩემი და საკრებულოს წევრების ერთობლივი ინიციატივით, ჩატარდა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები, საზაფახულო კარვების ბანაკის სამი ნაკადის არასრუწლოვნებთან ბავშვთა უფლებების თემაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით.

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მერიის სოციალურ პროგრამებზე 2023 წელს გამოყოფილი იქნა 27868 ლარი, ხოლო მიმდინარე წელს გამოყოფილი იქნა 45123 ლარი. ისარგებლა 23 ბენეფიციარმა.

- ასევე ა(ა)იპ ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის მიერ ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის უზრუნველყოფას, გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების თავიდან აცილებას. წარმატებით ხორციელდება გეგმიური ვაქცინაციის პროცესი და ეპიდზედამხედველობის პროგრამის ფარგლებში მონიტორინგი მუნიციპალიტეტში არსებულ ყველა სამედიცინო დაწესებულებაში. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ახორციელებს C ჰეპატიტსა და შიდსზე სწრაფ ტესტირებას და ც ჰეპატიტზე სკრინინგ დადებითი პირების შემდგომი კვლევის, მკურნალობაში ჩართვისა და მიდევნების პროგრამას. დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინიგის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, სკრინინგის მსურველი ბენეფიციარების ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს სამსახური. ინტერნეტ გვერდის მეშვეობით საზოგადოებას მუდმივად მიეწოდება ინფორმაცია სხვადასხვა დაავადების, აქტუალური სამედიცინო თემებისა და ზოგადად პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

- მუნიციპალიტეტის მერიაში აგრეთვე მოქმედებს სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიური პირობების მქონე მოქალაქეთა განცხადებების შემსწავლელი კომისია, სადაც დაუყოვნებლივ ხდება განხილვა და რეაგირება სასწრაფო და მნიშვნელოვან საკითხებზე.

ეკონომიკა

წარმოდგენილ ანგარიშში მინდა ყურადღება გავამახვილო მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ქონების მართვის კუთხით განხორციელებულ საქმიანობაზე, რომლებიც ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოსთან კოორდინაციითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საკრებულოს თანხმობით. მუნიციპალიტეტის ქონების სწორად მართვისა და განკარგვის საკითხებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობისათვის.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან, მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნის საფუძველზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემულია მთელი რიგი უძრავი ქონებები არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და შენობა-ნაგებობების სახით, რომელიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ეკონომიკური აქტივობის ზრდას. გადმოცემული ქონების ჩამონათვალი კვადრატული მეტრობისა და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით იმდენად ვრცელია, რომ წარმოდგენილ ანგარიშში მათი ასახვა საკმაოდ დიდ დროს მოითხოვდა.

საანგარიშო პერიოდში გაფორმდა მიწის ნაკვეთის ჩუქების 1 ხელშეკრულება, კერძოდ ფიზიკურმა პირმა მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოცა სოფელ ქროლში რეგისტრირებული 16 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მოწყობილ ჭაბურღილზე ელექტროენერგიის მიწოდებისათვის ელექტრომრიცხველის მონტაჟის მიზნით.

ასევე გაფორმდა უასასყიდლო უზუფრუქტის 4 ხელშეკრულება, რომლებიც დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში.

საანგარიშო პერიოდში გაფორმდა 7 იჯარის ხელშეკრულება, მათ შორის 1 ელექტრონული აუქციონის ფორმით, ხოლო 6 პირდაპირი განკარგვის წესით, ვადის გაგრძელების მიზნით ცვლილება შევიდა 2 ხელშეკრულებაში. დღეის მდგომარეობით სულ გაფორმებული არის 21 იჯარის ხელშეკრულება, საიდანაც საანგარიშო პერიოდში იჯარის ქირა შემოსული არის 64 613 ლარი. იჯარის ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში მოიჯარეებს ეგზავნებათ წერილები გადაუხდელი ქირის გადახდის მიზნით.

მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური ასევე ამზადებს აუქციონის მასალებს და ვებ.გვერდზე www.eauction.ge აცხადებს ელექტრონულ აუქციონს, საანგარიშო პერიოდში ქონების პრივატიზებაზე გამოცხადდა 4 ელექტრონული აუქციონი, რომლის საფუძველზეც გაიყიდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება: დაბა ხარაგაულში 80 კვ.მ და 92 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, სოფელ მოლითში 150 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და სოფელ ბორითში რეგისტრირებული შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 99.54 კვ.მ ფართი, ოთხივე ობიექტის პრივატიზების თანხა შეადგენს 42340 ლარს.

საკრებულომ დაამტკიცა მერიის მიერ ინიცირებული გარე რეკლამის ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის ნებართვის გაცემის წესის და ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში

არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ დადგენილების პროექტები. ასევე დამტკიცდა მდგრადი განვითარების მიზნების ხარაგაულის მუნიციპალური დოკუმენტი,

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში დასუფთავების მოსაკრებელიდან შემოსულია 119031 ლარი.

ზედამხედველობა და არქიტექტურა

წარმოდგენილ ანგარიშში ასევე მინდა მოგახსენოთ ზედამხედველობისა და არქიტექტურის კუთხით განხორციელებული აქტივობების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სივრცით-ტერიტორიული მოწყობის, დასახლებების დაგეგმარების და მშენებლობის საკითხების კოორდინაციას, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებარე შენობა ნაგებობების შესაბამისობის ზედამხედველობას საპროექტო-ნორმატიულ და სახელმძღვანელო დოკუმენტებთან, შესრულებული სამუშაოების ვადების კონტროლს, არქიტექტურულ-საამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენას, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის და გარე ვაჭრობის რეგულირებას, კეთილმოწყობის წესებისა და გარე იერსახის დაცვაზე კონტროლს. ზემოთ ხსენებულ საკითხებზე საკრებულოსა და მერის გადაწყვეტილებების აღსრულებას.

მერიის ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2024 წელს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დამტკიცება მოხდა 10 სხვადასხვა დანიშნულების ობიექტზე, ხოლო სამშენებლო პროექტების შეთანხმება განხორციელდა 19 სხვადასხვა ობიექტზე.

2024 წელს, ექსპლუატაციაში მიღებისათვის ვარგისად იქნა აღიარებული 16 ერთეული შენობა-ნაგებობა, მათ შორის 9 ერთეული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

2024 წლის საანგარიშო პერიოდში მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდა 14 ობიექტზე, ხოლო მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელის სახით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოსულია 6452 ლარი.

2024 წლის განმავლობაში მერიის ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურის მიერ გამოვლენილი იქნა 8 ერთეული სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტი, უნებართვო მშენებლობისა და სანებართვო პირობების დარღვევისათვის გადახდილმა ჯარიმებმა 2024 წელს შეადგინა 3000 ლარი.

აგრეთვე საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა დროს მერიის ზედამხედველობის განყოფილების მიერ განხორციელდა გარე ვაჭრობის ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა, უკანონო გარე მოვაჭრეები მათ მიერ გაშვებული იქნენ მუნიციპალიტეტის მიერ კანონით გამოყოფილ ადგილზე.

აღნიშნული სამსახური მუდმივად ახორციელებს საჯარო ზედამხედველობას გაცემული მშენებლობის ნებართვების საჯარო ზედამხედველობასთან დაკავშირებით.

კულტურა

მოგეხსენებათ ხარაგაულის მუნიციპალიტეტი მდიდარი კულტურული ტრადიციების მქონე მუნიციპალიტეტია და კულტურის ტრადიციები დღესაც ღირსეულად გრძელდება. მუნიციპალიტეტის მდიდარ შემოქმედებით პოტენციალზე მეტყველებს შემოქმედებითი მიმართულების გაერთიანებების სიმრავლე.

დღეს მუნიციპალიტეტში მოქმედებს სამი თეატრი, სამი ფოლკლორული ანსამბლი, ორი ქორეოგრაფიული ანსამბლი, ვოკალური ანსამბლი, კვარტეტი და ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი. მხოლოდ კულტურისა და ხელოვნების ცენტრში შემოქმედებით წრეებში გაერთიანებულია დაახლოებით 250 ადამიანი. აქედან უმრავლესობა ახალგაზრდობაა, რომლებიც ბავშვობიდან ეუფლებიან ქართული სიმღერის და ცეკვის ხელოვნებას.

ჩვენი შემოქმედებითი ანსამბლები მთელი წლის მანძილზე მონაწილეობენ მრავალ ფესტივალსა და კონკურსში.

ხარაგაულში განსაკუთრებული დამოკიდებულებაა თეატრალური ხელოვნების მიმართ. მომავალ წელს ჩვენ თეატრს 125 უსრულდება. თეატრისადმი ინტერესის გამოხატულებაა ის მრავალრიცხოვანი ახალგაზრდა მაყურებელი , რომელიც ესწრება სპექტაკლებს.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს შემოქმედებითი ა.(ა)ი.პ-ბი:

მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი

ა.ა.იპ. ხარაგაულის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი არის სკოლისგარეშე სასწავლო დაწესებულება, რომელიც ეხმარება ბავშვებს თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებაში, აქტიურად თამამშრომლობს მუნიციპალიტეტის სკოლებთან, აცხადებს სხვადასხვა კონკურსებს და კულტურულ ღონისძიებებს.

მოსწავლეთა რაოდენობა სახელობითი სიით შეადგენს 230 ბავშვს, ისინი გაერთიანებული არიან სხვადასხვა წრეებში.

მთელი წლის განმავლობაში ეწყობა შემოქმედებითი , გასართობი ხასიათის მრავალი ღონისძიება. ესენია: ინტელექტუალური შეჯიბრები, ლექცია -საუბრები საქართველოს ისტორიაზე, დედის და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, მუსიკალური შეჯიბრები , ფოტოკონკურსები და ხატვის კონკურსები.

უკვე რამოდენიმე წელია მოსწავლე ახალგაზრდობი სახლი აწყობს საზაფხულო ბანაკს.

გასული წლის ოქტომბერში თბილისის მოსწავლეთა სასახლეში საერთაშორისო კინო ფესტივალი „თბილისური აისი“ გაიმართა , სადაც მონაწილეობდა ხარაგაულის მოსწავლეთა სახლის მიერ შექმნილი ფილმი „ცისკრის ვარსკვლავი“. ფილმმა დაიმსახურა ჯილდო ნომინაციაში .

დღეის მდგომარეობით მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს 12 დასახელების წრე: ნორჩ-მათემატიკოსთა, მხარეთმცოდნეობის, ინგლისური ენის შემსწავლელი, ხატვის, ლიტერატურული თეატრის , ხეზე კვეთის,(სოფელ მარელისში) მაკრამეს, ხალხური სიმღერებისა და საკრავების წრე (სოფელ კიცხში, მარელისში და ლეღვანში), საესტრადო სიმღერის, საეკლესიო საგალობლების და კინომოყვარულთა წრეები, აგრეთვე სპეციალური საჭიროების ბავშვთა ჯგუფი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებული მუსიკალური სტუდია „ჰარმონია. რომელიც სწავლას ახორციელებს დაბა ხარაგაულსა და ვერტყვიჭალაში. აღნიშნულ წრეებში ყოველდღიურად მიმდინარეობს სხვადასხვა აქტივობები და ღონისძიებები.

ა (ა) ი პ ,,კულტურის და ხელოვნების ცენტრი“

ხარაგაულის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი შეიქმნა 2018 წელს, რომელშიც გაერთიანდა ხარაგაულის კულტურის ცენტრი, ისტორიული მუზეუმი, ლიტერატურული თეატრი და ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკა.

გარდა იმისა, რომ ბიბლიოთეკა ემსახურება მკითხველებს. აქაც, როგორც ერთ-ერთ მნიშველოვან საგანმანათლებლო დაწესებულებაში მთელი წლის განმავლობაში , ტარდება არაერთი საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებები: პროექტი , ,,სტუმრად ბიბლიოთეკაში“,,ცოცხალი წიგნები“ შეხვედრა მწერალთან“, ვინ წამიკითხავს ზღაპარს'' და სხვა.

ყოველწლიურად ხდება ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება. გასულ წელს შეძენილი იქნა 900 ლარის წიგნები ვაუჩერით და 2500 ლარის წიგნები ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოფლის ბიბლიოთეკებისათვის.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით ბევრი ღონისძიებაა ჩატარებული კულტურისა და ხელოვნების ცენტრში სხვადასხვა მიმართულებით.

აღსანიშნავია ინტელექტუქლური თამაში ,,რა , სად, როდის“ სხვადასხვა ასაკში. თამაშები ჩატარდა სეზონურად.

აგრეთვე აღსანიშნავია კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ახალგაზრდული გუნდის ,,ჭირიმეს“ წარმატებული მონაწილეობა ქართულ ლიგაში და მისი გამარჯვებები.

ასევე კულტურისა და ხელოვნების ცენტრში არსებული სიმღერის და ცეკვის ანსამბლები მთელი წლის განმავლობაში წარმატებით მონაწილეობდნენ სხვადასხვა ფესტივალებში და კონკურსებში.

საბიბლიოთეკო კვირეული

გუნდი „ჭირიმე“

ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა

ხარაგაულში სამუსიკო განათლებას ემსახურება ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა. სამუსიკო სკოლაში მუშაობა მიმდინარეობს 4 მიმართულებით:

ფორტეპიანო

ვიოლინო

გიტარა

საესტრადო ვოკალი

წლის განმავლობაში სამუსიკო სკოლის მოსწავლეები ჩართული არიან სხვადასხვა კონკურსებში და წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა მუსიკალურ ფესტივალებში.

ხარაგაულის ისტორიული მუზეუმი

ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში დაცულია მხარის ისტორიული და არქეოლოგიური უნიკალური მასალა.

მთელი წლის განმავლობაში ჩვენი მუზეუმი ეხმიანება ყველა მნიშვნელოვან კალენდარულ თარიღს და მოვლენას .

18 მაისს მუზეუმის ინიციატივით უკვე მრავალი წელია ეწყობა ეროვნული სამოსის დღე, რომელიც მოიცავს ღონისძებებს და მსვლელობას.

ხშირად ეწყობა ფოტოგამოფენები. წელს განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქალთა დღისადმი მიძღვნილი გამოფენა,, გარდასულ დღეთა მშვენიერება“.

იმართება ტრადიცილი პროექტები, რომელშიაც ყოველთვის ხალისით ერთვებიან ახალგაზრდები: ,,მოხატული კერამიკა’,,, პატარა არქეოლოგები’’ და სხვა.

რამოდენიმე წელია აღინიშნება ევროპული მემკვიდრეობის დღეები.

ძალიან სასიხარულოა ის ფაქტი ,რომ მუზეუმი თანამშრომლობს საგანმანათლებლო სფეროსთან და ხშირად ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი“

ხარაგაული წარმატებით აგრძელებს მდიდარ სპორტულ ტრადიციებს. სპორტულ დარბაზში და მუნიციპალიტეტის სოფლებში ფუნქციონირებს 14 სპორტული სექცია, წლის განმავლობაში ეწყობა მრავალი სპორტული შეხვედრა. ჩვენი სპორტსმენები სახელოვნად მონაწილეობენ საერთაშორისო ტურნირებში და აღწევენ მნიშვნელოვან წარმატებებს.

2024 წლის სპორტული ღონისძიებები:

2024 წლის 8-10 მარტს ქალაქ თბილისში ჩატარდა თბილისის ღია პირველობა მკლავჭიდში, სადაც მარჯვენა მკლავში მესამე ადგილი დაიკავა გიორგი წარიაშვილმა, მარჯვენა და მარცხენა ხელში - ნიკოლოზ ჩხიკვაძემ.

2024 წლის 16 მარტს ქალაქ ჩოხატაურში გაიმართა საქართველოს ასაკობრივი ფესტივალი რაგბში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ჩვენმა რაგბისტებმა.

2024 წლის 11-14 აპრილს ქალაქ ქუთაისში ჩატარდა იმერეთის ღია პირველობა ტაეკვონდოში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულის სპორსტსმენებმა და წარმატებით იასპარეზეს.

2024 წლის 17 აპრილს ქალაქ საჩხერეში ჩატარდა ნიკოლოზ ცქიტიშვილის სახელობის ტურნირი კალთბურთში ვაჟთა შორის, სადაც წარმატებით იასპარეზეს ჩვენმა კალთბურთელებმა და დაიკავეს მეორე ადგილი.

2024 წლის 10-12 მაისს ქალაქ თბილისში ზურაბ იარაჯულის სახელობის მემორიალური ტურნირი ტაეკვონდოში, სადაც ექვსმა მოსწავლემ დაიკავა საპრიზო ადგილები.

ასევე აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საბავშვო ბაღებისა და სკოლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 21 საბავშვო ბაღი და 5 სასკოლო მზაობის ჯგუფი, ბაღებისა და სკოლების უმრავლესობაში ინფრასტრუქტურა დამაკმაყოფილებელია. მიმდინარე წელს უკვე დასრულდა სოფელ კიცხში თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საბავშვო ბაღის მშენებლობა.

სოფელ კიცხში დასრულებული თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საბავშვო ბაღი

წინამდებარე ანგარიშში ასახული მონაცემები, რომლებიც შეეხება ზემოთ დასახელებულ ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ და სხვა სფეროებში განხორციელებულ საქმიანობას, ყველა მათგანი დაგეგმილი და განხორციელებულია მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ, ხოლო საკრებულოს, მერიის მიერ ინიცირებულ აღნიშნულ საკითხებზე, მათ განსახორციელებლად მიღებული აქვს შესაბამისი სამართლებრივი აქტები განკარგულებებისა და დადგენილებების სახით. აგრეთვე, საკრებულო როგორც მაკონტროლებელი ორგანო, პერიოდულად ისმენს და აფასებს მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებისა და ა (ა) ი პ - ის ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ. ამდენად, აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის ამსახველი მონაცემების გარეშე საკრებულოს მუშაობის ცალკე განხილვა პრაქტიკულად შეუძლებელია, ვინაიდან თვითმმართველობა გულისხმობს თვითმმართველობის წარმოადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოთა ერთიან ორგანიზმად არსებობას. დარწმუნებული ვარ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი რგოლის კოორდინირებული მუშაობის შედეგად მომავალშიც ბევრ სასიკეთო საქმეს გავაკეთებთ ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის.

მიუხედავად წარმოდგენილ ანგარიშში ასახული აქტივობებისა და განხორციელებული საქმიანობისა, ასევე მინდა კრიტიკული ვიყო იმ ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართ, სადაც არსებობს გარკვეული ხარვეზები და საჭიროებს გამოსწორებას. კერძოდ, მხედველობაში მაქვს ადმინისტრაციულ ერთეულებში ჭაბურღილების მოწყობის საკითხი, ვინაიდან ჭაბურღილებმა ზოგიერთ ადგილებში ვერ იმუშავა წყლის დებეტის ნაკლებობისა თუ სხვა ტექნიკური პირობების გამო. იმედია მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები, აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე კომპეტენტურ ორგანიზაციებთან მეტი კოორდინირებული მუშაობის შედეგად, მომავალში შეძლებენ დასახელებული პრობლემის მოგვარებას. ასევე, როგორც წინამდებარე ანგარიშში მოგახსენეთ, 2024 წელს სტიქიამ

მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მუნიციპალიტეტს. სტიქიის შედეგების აღმოსაფხვრელად მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს მთელი რიგი სამუშაოები. აღნიშნული პროექტების მიმდინარეობისას, მეწარმეთა მხრიდან გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო, დაჯარიმებული კომპანიების მიერ ამ ეტაპისთვის უკვე გადახდილია 2 500 ლარამდე, ასევე ჯარიმებზე მუშაობს რამდენიმე შემსრულებელი, რაც ასევე აისახება ბიუჯეტში. ექსპლუტაციის დროს გამოვლინდა ხარვეზი სოფელ მაქათუბანში გზის საყრდენ კედელზე, რის შესახებაც მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ მიემართა მშენებელ კომპანიას, მოხდა წარმოქმნილი პრობლემის ადგილზე შესწავლა და მშენებელი კომპანია თავის ხარჯით მოახდენს დაზიანების აღმოხვრას.

გაჭიანურდა ხევის საბავშვო ბაღის შიდა ინფრასტრუქტურის მოწყობა. კვლავ პრობლემად რჩება მიუსაფარი ცხოველების თავშესაფრის მოწყობა, რომელიც წარმოადგენს მაშტაბურ პრობლემას. ასევე დღემდე ვერ მოხდა ყველა სოფლის გაზიფიცირება თუმცა მიმდინარე წელს 19 სოფელზე მიმდინარეობს გაზიფიცირების პროექტების მომზადება.

ახალგაზრდული საკრებულო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში „ახალგაზრდული საკრებულოს“ არსებობის პრაქტიკა დანერგილია 2015 წლიდან.

„ახალგაზრდული საკრებულოს“ არსებობის მიზანია ახალგაზრდებმა გაიცნონ თვითმმართველობის საქმიანობა, ჩამოუყალიბდეთ თანამშრომლობითი კულტურა და სოციალური უნარები, რაც ხელს შეუწყობს სამოქალაქო დონის ამაღლებასა და ახალგაზრდა ლიდერების გამოკვეთას.

„ახალგაზრდულ საკრებულოს“ ხელმძღვანელობს საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე მარინე ხვედელიძე.

ახალგაზრდები თემატური კომისიების ფარგლებში ერთობლივად გეგმავენ და ახორციელებენ გარკვეულ აქტივობებს. მათთან როგორც პირადად მე, ასევე საკრებულოში არსებულ თითოეულ კომისიას აქვს მჭიდრო თანამშრომლობა, რომლებიც ახალგაზრდებს ვუზიარებთ ჩვენს გამოცდილებას, ვაცნობთ თვითმმართველობის როლსა და ფუნქციებს, რაც მათ ინიციატივების მომზადებასა და საკრებულოსთან თანამშრომლობაში დაეხმარებათ.

რაც შეეხება ახალგაზრდებთან ერთად განხორციელებულ აქტივობებს, მოგახსენებთ, რომ გასული წლის ოქტომბერში, მასწავლებლის ეროვნულ დღესთან დაკავშირებით, ღვაწლმოსილი პედაგოგების წარმოჩენა-დაფასების მიზნით, „ახალგაზრდული საკრებულოს“ წევრებთან და საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე მარინე ხვედელიძესთან ერთად ვესტუმრეთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ღვაწლმოსილ პედაგოგებს: ლალი წიქარიშვილს, ლამარა კურტანიძეს და ლამარა ციცქიშვილს, რომლებსაც გადავეცით სიმბოლური საჩუქრები და მადლობა გადავუხადეთ მრავალი თაობის ღირსეულად აღზრდისთვის.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის „ახალგაზრდული საკრებულო“ არაერთი აქტივობით შეუერთდა გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16-დღიან კამპანიას, ასევე მონაწილეობა მიიღეს წიგნის კითხვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში.

„ახალგაზრდული საკრებულოს“, ასევე ჩემი და საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მარინე ხვედელიძის ერთობლივი ინიციატივით, გასული წლის დეკემბერში, წინასაახალწლოდ, მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით საჩუქრები გადავეცით ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ რამოდენიმე ოჯახს.

ახალგაზრდული საკრებულოს წევრები პატარა ხარაგაულში მცხოვრებ ბიჭიკო მაისურაძესთან

მიმდინარე წლის 17 მარტს „ახალგაზრდული საკრებულოს“ წევრები, გალაკტიონ ტაბიძის გარდაცვალების დღის აღსანიშნავად, სოფელ ფარცხნალში ესტუმრნენ ხარაძეების ოჯახს, სადაც 1910-1911 წლებში ცხოვრობდა დიდი პოეტი. მათ ტაძრის ეზოში გამართეს ღონისძიება, წაიკითხეს ლექსები და ამ ფორმით პატივი მიაგეს პოეზიის უგვირვინო მეფეს.

როგორც მოგეხსენებათ, 21 მარტს მთელი მსოფლიო დაუნის სინდრომის შესახებ ცნობიერების ამაღლების დღეს აღნიშნავს. „ახალგაზრდული საკრებულოს“ წევრები აღნიშნულ კამპანიას მრავალფეროვანი აქტივობებით შეუერთდნენ.

„ახალგაზრდული საკრებულოს“ წევრებმა აღნიშნეს 35 წელი 9 აპრილის ტრაგედიიდან. მათ 9 აპრილის მემორიალი ყვავილებით შეამკეს და ამით პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას. ასევე 9 მაისს მეორე მსოფლიო ომში გმირულად დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად მემირიალი შეამკეს ყვავილებით.

ახალგაზრდული საკრებულოს წევრები ტიტებით 9 აპრილის სკვერისკენ

ახალგაზრდებმა აგრეთვე აღნიშნეს დედამიწისა და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, ისინი აქტიურად ერთვებოდნენ სასკოლო ცხოვრებაში და არაერთი საინტერესო შემეცნებითი და სპორტული ღონისძიება ჩაატარეს.

პირადი და საკრებულოს წევრთა ინიციატივები

მინდა ყურადღება გავამახვილო უკვე ტრადიციად ქცეულ ჩემი და საკრებულოს წევრების მიერ საანგარიშო პერიოდში ორგანიზებულ რამოდენიმე საქველმოქმედო ღონისძიებასა და სხვადასხვა აქტივობებზე, რომელებიც იმედს ვიტოვებ მომავალშიც გაგრძელდება. კერძოდ:

- ჩემ მიერ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში გაგზავნილი წერილის საფუძველზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ საქასრიის ტერიტორიაზე გამავალი ავტომაგისტრალის N 10 გვირაბის შესასვლელთან, დასავლეთის მხრიდან, მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დამატებით მოეწყო ბეტონის პარაპეტები.
- ავტობანის მშენებელი ჩინური კომპანიის (F2) მიერ, ჩემი თხოვნის საფუძველზე, სოფელ ვაშლევის ასასვლელთან განხორციელდა დაზიანებული საავტომობილო გზის მობეტონება და გასწორხაზოვნება.
- ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე, ჩემი შუამდგომლობით, რაც გათვალისწინებულ იქნა საგზაო დეპარტამენტის მიერ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი ავტომაგისტრალის, კერძოდ

ხევი-უბისას საავტომობილო გზის პროექტის ფარგლებში, საავტომობილო გვირაბებში სხვადასხვა სამუშაოებზე დასაქმებულ იქნა 18 ადგილობრივი მოქალაქე.

- ს ს ენერგო-პრო ჯორჯიას დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის სახელზე ჩემ მიერ გაგზავნილი წერილის საფუძველზე, რომელიც შეეხებოდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ელექტროგადამცემი ქსელების მოუწესრიგებლობისა და ელექტროენერგიის ხშირი ავარიული გათიშვის საკითხს, აღნიშნულმა ორგანიზაციამ მიმდინარე წელს ჩაატარა ქსელის სარებილიტაციო სამუშაოები, რამაც ნაწილობრივ გააუმჯობესა ენერგო სისტემაში არსებული ხარვეზები.
- ასევე ჩემი და საკრებულოს წევრის - ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შმაგი ხიჯაკაძის ინიციატივით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტი აქტიურადაა ჩართული მსოფლიოში უდიდესი სკრინინგული კომპანიის „მაისის გაზომვის თვე“-ს მიერ ჩატარებულ აქციებში, რომლის მიზანია ჰიპერტენზიის გამოვლენა, მოსახლეობის გათვითცნობიერება ამ დაავადების რისკების შესახებ და რაც მთავარია, მიღებული მტკიცებულებების შესახებ ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის გადაწყვეტილების მიმღებ და დაინტერესებულ პირთა ინფორმირება. აღნიშნული კომპანიის მიერ ჰიპერტენზიის სკრინინგის კამპანიის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში გამოვლენილ იქნა ჰიპერტენზიით დავადებულ პირთა საკმაოდ დიდი რაოდენობა.
- ჩემ მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაგზავნილ იქნა წერილი, რომელიც შეეხებოდა მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სპეციალისტების და რეგიონის დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამსახურის ჩართულობით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის ექიმებისთვის კვალიფიციური ტრენინგების ჩატარებას. აღნიშნული მოთხოვნა გაზიარებული იქნა ხსენებული სამინისტროს მიერ და ჯანდაცვის სამინისტროსთან კოორდინირებული მუშაობის შედეგად საჯარო სკოლებში სამედიცინო პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარების პრაქტიკა დაინერგა არა მარტო ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, არამედ მთელი ქვეყნის მაშტაბით. აღნიშნული საკითხის მომზადებაში ასევე ჩართული იყო საკრებულოს წევრი გოჩა გიორგიძე, რომელიც ამავე დროს არის ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის იმერეთის სამმართველოს უფროსი.
- ჩემი ორგანიზებით ადგილობრივმა მოსახლეობამ მონაწილეობა მიიღო ახალი ავტომაგისტრალის, კერძოდ ხევი-უბისას (F 2 მონაკვეთი) გზის

გაუმჯობესების პროექტთან და მის ზემოქმედებასთან დაკავშირებით გამართულ დისკუსიაში, რომელიც ჩაატარა მშენებლობის ზედამხედველობის ორგანიზაციამ - UBM. აღნიშნული ორგანიზაციის მიზანია გადაჭრას საზოგადოების მიერ წამოჭრილი ნებისმიერი პრობლემა სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით. დისკუსიის ფორმატი ითვალისწინებდა კითხვა-პასუხის რეჟიმში საუბრის წარმართვას. ხსენებული ორგანიზაციის მიერ შედგენილი გამოკითხვის მეთოდი იყო საკმაოდ მრავალმხრივი და შეეხებოდა ავტომაგისტრალის მშენებლობასთან დაკავშირებულ შემდეგ საკითხებს: საგზაო უსაფრთხოების რეაგირება, გაძლიერებული განათება უკეთესი ხილვადობისთვის, ავარიების ინციდენტების შემცირება, გადაუდებელ სიტუაციებზე რეაგირების ხელმისაწვდომობა, საავადმყოფოების ხელმისაწვდომობის გაზრდა ან სასწრაფო დახმარების სერვისის ხელმისაწვდომობა, ღია ბაზრის ხელმისაწვდომობის გაზრდა (ადგილები, სადაც ადგილობრივები ყიდულობენ და ყიდიან პროდუქტებს), როგორ შეიცვალა მგზავრობის დრო და სხვა. გამართული დისკუსიით კმაყოფილი დარჩა მასში მონაწილე ორივე მხარე.

- უკვე წლებია, პირადი წერილობითი თხოვნის საფუძველზე, ტკბილეულის მწარმოებელი შპს „ტკბილი ქვეყანა“, ყოველ წელს, უფასოდ, ქველმოქმედების სახით, მის მიერ წარმოებული გარკვეული რაოდენობის ტკბილეულის სასაჩუქრე პაკეტებით, სხვადასხვა დღესასწაულებთან დაკავშირებით ასაჩუქრებს ხარაგაულის მინიციპალიტეტში მატერიალურად ხელმოკლე პირობებში მცხოვრებ ოჯახებს, მრავალშვილიან დედებსა და სხვა პირებს ვისაც განსაკუთრებული ყურადღება და თანადგომა სჭირდება. გამოჩენილი ყურადღება საჩუქრის მიმღებ პირებს ძალიან ახარებს და გამოხატავენ გულწრფელ მადლიერებას.
- საკრებულოს წევრის გოჩა გიორგიძის ინიციატივითა და ჩემი მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა ხარაგაულის N2 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და სკოლის პერსონალთან შემდეგ საკითხებზე: „არა სიგარეტს, არა ალკოჰოლს, არა ნარკომანიას“, რომელიც ძალიან მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული სკოლის დირექტორის ქალბატონი ინგა ვეფხვაძის და სკოლის ქიმიის პედაგოგის ქალბატონი თამარ სულიაურის მიერ.

- დაბა ხარაგაულში არსებულ ინოვაციების ცენტრში, მიმდინარე წლის აპრილის თვეში, ჩემი და საკრებულოს წევრის გოჩა გიორგიძის ინიციატივით გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია სახელწოდებით „ჰიპერურიკემია-არტერიული ჰიპერტენზიის დამოუკიდებელი რისკის ფაქტორი“. კონფერენციაზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: 1. ჰიპერურიკემია და არტერიული ჰიპერტენზია. 2. არტერიული ჰიპერტენზიის გავრცელება და

მართვის მდგომარეობა იმერეთის რეგიონში - მომხსენებელი დალი ტრაპაიძე. კონფერენციის მუშაობის შედეგად, 2024 წელს საქართველოს მაშტაბით პირველად განხორციელდა შარდმჟავის კვლევის პროგრამა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში.

- საანგარიშო პერიოდში საკრებულოს წევრთან - გოჩა გიორგიძესთან ერთად, არაერთი ვიზიტი განვახორციელე რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის - ბორითის კლინიკაში, იქ არსებული სიტუაციის შეფასების, პრობლემების ანალიზის და გადაჭრის გზების ძიების მიზნით. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მომზადდა და სამინისტროში რეაგირებისათვის გაიგზავნა სამი წერილი. გაგზავნილი წერილების შედეგად შემუშავდა კლინიკის შემდგომი განვითარების სამოქმედო სტრატეგია რომელზეც ამჟამადაც გრძელდება მუშაობა.

- ჩემი და მოსახლეობის ინიციატივით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ მაქათუბანში აღინიშნა სახალხო დღესასწაული „მაქათუბნობა 2024“.

- მკლავჭიდში მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოპოვებისათვის, წარმატებულ ხარაგაულელ სპორტსმენს ნიკოლოზ ჩხიკვაძეს და მის მწვრთნელს მერაბ იჩქიტიძეს გადავეცი მადლობის სიგელები.

- მიმდინარე წლის 31 მაისს საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარესთან - მარინე ხვედელიძესთან ერთად, პოლიციელთა პროფესიული დღე მივულოცე შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ხარაგაულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებს.

- ჩვენს ქვეყანაში მეხანძრე-მაშველების საქმიანობისა და მათი მნიშვნელოვანი როლის დაფასების მიზნით, მიმდინარე წლის 12 ივნისს, საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარესთან - მარინე ხვედელიძესთან ერთად, მეხანძრე-მაშველის

პროფესიული დღე მივულოცე ხარაგაულის მუნიციპალიტეტში დასაქმებულ მეხანძრე-მაშველებს.

❖

❖ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის „ახალგაზრდული საკრებულოს“ წევრებთან ერთად მონაწილეობა მივიღე ხარაგაულის ისტორიული მუზეუმში დედაენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში. დაბა ხარაგაულის N 3 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და „ახალგაზრდული საკრებულოს“ წევრებმა ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან გაიხსენეს 1978 წლის 14 აპრილი, როცა ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსის მოხსნის საშიშროება დაემუქრა და თბილისში ხალხმრავალი დემონსტრაცია გაიმართა.

❖ მოგეხსენებათ, მე ამავე დროს ვხელმძღვანელობ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს ხარაგაულის ქალთა ორგანიზაციას. საანგარიშო პერიოდში, როგორც აღნიშნული ორგანიზაციის თავმჯდომარემ მოვაწყვე საინფორმაციო შეხვედრა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კულტურის სფეროს ა (ა) ი პ - ში დასაქმებულ ქალბატონებთან. საინფორმაციო შეხვედრის მიზანი გახლდათ ქალთა როლის წარმოჩენა და სოფლად მცხოვრები ქალბატონების მხარდაჭერა და გაძლიერება.

- ❖ ასევე ჩემი ორგანიზებით, ზემოთ აღნიშნული ქალთა ორგანიზაციის სახელით „ქალები ერთმანეთისთვის“ პროექტის ფარგლებში გამართულ ღონისძიებაზე სასაჩუქრე პაკეტები გადავეცი რიკოთის ავტომაგისტრალის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ წარმატებულ ქალბატონებს.

ბოლოს მინდა მადლობა გადავუხადო საკრებულოს თითოეულ წევრს და აპარატს გაწეული საქმიანობისთვის. ჩემი ღრმა რწმენით, შემდგომი წლები უფრო მეტი წარმატების მომტანი იქნება როგორც ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის, ასევე მთლიანად ქვეყნისათვის. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ანალიზი მაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ მმართველი პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ არის ის ძალა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის სტაბილურობასა და განვითარებას. იმედია თითოეული ჩვენგანი მომავალშიც ძალღონეს არ დავიშურებთ მოსახლეობის მიერ გამოცხადებული ნდობის გასამართლებლად და ერთობლივი ძალისხმევით საკრებულო კიდევ უფრო ნაყოფიერად გააგრძელებს საქმიანობას.